

ბიზნესის დაფინანსების ძირითადი წყაროები საქართველოში

ეკა ადამია, გვანცა გაგიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება: საბანკო და საფინანსო საქმე

ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი , ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018



სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	3
პრობლემის არსი	7
ლიტერატურის მიმოხილვა	10
პროექტის მიზანი, ამოცანები, მეთოდოლოგია	27
ექსპერტების მოსაზრება	42
კვლევის შედეგები და ანალიზი	45

განცხადება

როგორც წარმოდგენილი სამაგასტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა გაგიძე

ეკა ადამია

06/22/2018

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმეობაა. მისი განვითარება თავის მხრივ, აუცილებლად იწვევს სოციალური ფონის და კულტურული გარემოს გაუმჯობესებას. ბიზნეს სექტორის განვითარებისთვის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობა. რაც გულისხმობს, ქვეყანაში ფინანსური სექტორის, საინვესტიციო გარემოს, სახელმწიფო პროგრამების არსებობას და წარმატებით ფუნქციონირებას.

საქართველო მიეკუთვნება განვითარებადი/გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიცხვს, რაც ნიშნავს, რომ ის იმყოფება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“, რაც მოიცავს ევროკავშირთან ინტეგრაციის მექანიზმებს და ქართული ეკონომიკისთვის უფრო ხელმისაწვდომი ხდება ევროკავშირის ბაზარი. ეს არის ახალი შესაძლებლობა ქართული ბიზნესისთვის, რომელიც ავტომატურად გამოიწვევს ბრუნვის ზრდას და გაიზრდება მოთხოვნა დაფინანსების მოპოვების წყაროებზე. ყოველივე ამის გავლენით, ბოლო პერიოდის განმავლობაში ხდება გარკვეული საერთაშორისო პრაქტიკის და სტანდარტების დანერგვა საქართველოში. აღნიშნულის მიზანია, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და ხელშეწყობა კომპანიებისთვის, რომ მათ გაუმარტივდეთ წვდომა სხვადასხვა ფინანსურ რესურსებზე, ქონდეთ გამართული სტრუქტურა და შედარებით მაღალი ხარისხი.

კვლევის ფარგლებში განხილული იქნა ამ ეტაპზე საქართველოში არსებული კერძო ბიზნეს სექტორი, რა ძირითად პრობლემას აწყდებიან ისინი განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოპოვების კუთხით. შესაბამისად კვლევის მიზანია, აღნიშნულ სექტორის მიმდინარე მდგომარეობაზე დაყრდნობით მათი დაფინანსების წყაროების

ანალიზი, საიდან იზიდავენ ამ ეტაპზე კომპანიები თანხებს, რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის კაპიტალის შევსება დაფინანსების სხვადასხვა არსებული წყაროებიდან, რა უმლით ხელს და რა პერსპექტივები აქვთ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შემდეგ.

აღნიშნულ საკითხს ნაშრომი განიხილავს საქართველოში სხვადასხვა კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე. ასევე, კონკრეტული სპეციალიზაციის მქონე ექსპერტების გამოკითხვით, სახელმწიფო პროგრამების შედეგების ანალიზით და სხვა ქვეყნების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიებით და შედარებით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედარებულია საქართველოს მდგომარეობა სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას, გამოყოფილია ძირითადი დაფინანსების წყაროები და მათ მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები. განსაზღვრულია სამომავლო პერსპექტივები.

ნაშრომი იძლევა მონაცემებს საქართველოში არსებული ბიზნესების მიერ გამოყენებული ძირითადი დაფინანსების წყაროების შესახებ. სადაც გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს აქტივების მთლიან დაფინანსებაში საბანკო კრედიტებს და საკუთარ კაპიტალს. წილობრივი მაჩვენებლებით, სურათი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მცირე და მსხვილი ბიზნესების შემთხვევაში. გამოიკვეთა ის, რომ მცირე კომპანიები არ არიან ჩართულები სახელმწიფო პროგრამებში და მათთვის ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგებს ბანკები. ვალდებულებების სტრუქტურა მსხვილ კომპანიებში შედარებით დივერსიფიცირებულია. ასევე ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაცია წყაროების შესახებ, რომელიც არსებობს ქვეყნის კაპიტალის ბაზარზე, თუმცა ამ ეტაპზე ნაკლებად განვითარებულია.